საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

სიმენსები ერნრსტ ვერნერ, ვალტერ და ოტო ფონ

სიმენსები ერნრსტ ვერნერ, ვალტერ და ოტო ფონ (1816-1892 • 1833-1868 • 1836-1871), გერმანელი მეცნიერ-გამომგონებლები და მეწარმეები, ძმები. დაიბადნენ გერმანიაში, ქ. ჰანოვერის მახლობლად, ლენთეში.

ე. ვ. სიმენსი

ერნსტ ვერნერი – ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1874). მის სახელთან დაკავშირებულია მსხვილი ელექტროტექნიკური კონცერნების დაარსება, რომელთა მეპატრონეც თავად იყო. დაამთავრა ბერლინის საარტილერიო-საინჟინრო სასწავლებელი. 1842 წელს ელექტროტექნიკის დარგში პირველი პატენტი მიიღო. დაინტერესდა ახალი სატელეგრაფო აპარატების შექმნითა და სატელეგრაფო ხაზების მშენებლობით. 1847 წელს ინჟინერ-მექანიკოს იოჰან გეორგ ჰალსკესთან ერთად ბერლინში გახსნა პატარა საწარმო „სიმენსი და ჰალსკე“ (შემდეგ მსხვილი საწარმო – ფირმა „სიმენსი“). 1860 წელს ერნსტ ვერნერის თაოსნობით თბილისში გაიხსნა „სიმენსი და ჰალკეს“ წარმომადგენლობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ვალტერ სიმენსი. 1865 წელს თვითონ ერნსტ ვერნერი ჩამოვიდა თბილისში. 1870 წლის იანვარში მან თბილისში გახსნა ინდოეთ-ევროპის სატელეგრაფო სადგური, რომლის მეშვეობითაც ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის სატრანზიტო დეპეშების გაცვლა ხდებოდა თბილისზე გავლით. ამიერიდან თბილისი სატელეგრაფო კავშირის

უმნიშვნელოვანეს ცენტრად იქცა. 1890 წელს ხანდაზმული ერნსტ ვერნერი ოჯახთან ერთად მესამედ (და უკანასკნელად) ჩამოვიდა საქართველოში, სადაც მისი ძმები–ვალტერი და ოტო ცხოვრობდნენ. ერნსტ ვერნერმა დაწერა ავტობიოგრაფიული წიგნი „ჩემი მოგონებები“, რომელშიც დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს და მის დედაქალაქს.

ე.ვ. ფონ სიმენსი ბერლინში გარდაიცვალა.

ვ. სიმენსი

ვალტერი – უმაღლესი ტექნიკური განათლება ქ. მეცენდორფში მიიღო. ფირმის „სიმენსი და ჰალსკეს“ წარმომადგენელი იყო ვენაში, პარიზსა და ვარშავაში. 1860 წელს ვალტერი თბილისში ჩამოვიდა და დაიწყო სატელეგრაფო სადგურების მოწყობა თბილისიდან გორის, სურამის, ქუთაისის, ფოთის მიმართულებით. 1862 წელს გრიგოლ ორბელიანის ნებართვით ადგილობრივ ხელისუფლებასა და ვ. სიმენსს შორის დაიდო კონტრაქტი თბილისსა და სტავროპოლს შორის სატელეგრაფო სადგურების დამონტაჟების თაობაზე. 1864 წელს ვალტერმა ქ. ჯულფაში დაამონტაჟა სატელეგრაფო აპარატები და 1865 წლიდან თბილისსა და თეირანს შორის დაიწყო საერთაშორისო დეპეშების გაცვლა. 1866 წელს ვ. სიმენსი თბილისში პრუსიის კონსულად დანიშნეს. სატელეგრაფო კავშირი დამყარდა ბაქოსთან, ამის მოთავეც ვ. სიმენსი იყო. ქართული საზოგადოება დიდად აფასებდა ვალტერს, როგორც საქართველოსა და კავკასიაში პირველი სატელეგრაფო კავშირების მომწყობს. იგი „კავკასიის ტელეგრაფის მამად“ აღიარეს. თბილისში ცხოვრობდა ლ. ასათიანის ქუჩის (ყოფ. კოჯრის) #30-ში.

ვ. ფონ სიმენსი დაკრძალულია თბილისში.

ო. სიმენსი

ოტო – სწავლობდა ქ. გეტინგენში. უმაღლესი განათლება ლონდონში მიიღო, სადაც ლითონების დნობის ტექნოლოგიას დაეუფლა. უფროსი ძმის, ვერნერის, რჩევით თბილისში ჩამოვიდა. ძმის, ვალტერის, გარდაცვალების შემდეგ 1868 წელს ოტო სათავეში ჩაუდგა „სიმენსი და ჰალკეს“ წარმომადგენლობას. ასევე, იგი დანიშნეს პრუსიის კონსულად თბილისში. ოტო ჩაება კახეთში ნავთობის მოპოვებაში, შეიმუშავა წინადადებები ნავთობგადამამუშავებელი ქარხნიდან ასფალტის მიღება-გამოყენების, თბილისის წყლით მომარაგებისა და ქუჩების განათების შესახებ. აქტიურად მონაწილეობდა „რუსეთის ტექნიკური საზოგადოების“ კავკასიის განყოფილების მუშაობაში. ო. სიმენსმა გაიცნო და დაუახლოვდა ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს, რომელთა ერთადაც იგი ქველმოქმედებას ეწეოდა. 1870 წელს მან იქორწინა ანეტე ფონ კრემერზე. ერთი წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

ო. ფონ სიმენსი დაკრძალულია თბილისში.